

## ს ა რ ე კ ლ ა მ ო გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ა(ა)იპ– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის

### სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

აცხადებს პროფესიულ სტუდენტთა მიღებას ავტორიზებულ პროგრამებზე



040752 – რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი,  
(ყოფილი რკინიგზის ტრანსპორტის ელექტრომომარაგების სპეციალობა);

040753 – რკინიგზის ელექტრომოდრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსი,  
(ყოფილი ელექტრული ტრანსპორტის სპეციალობა);

040754 –სარკინიგზო გადაზიდვათა,  
(ყოფილი სარკინიგზო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობა);

040755 –სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკოსი,  
(ყოფილი რკინიგზის ავტომატიკის, ტელემექანიკისა და კავშირგაბმულობის  
სპეციალობა);

040756 –სავაგონო მეურნეობის მექანიკოსი,  
(ყოფილი ვაგონებისა და სავაგონო მეურნეობის სპეციალობა);

040667 –მელიანდაგი,  
(ყოფილი ლიანდაგი და სალიანდაგო მეურნეობის სპეციალობა);

*ყველა საფეხურზე გათვალისწინებულია  
ინგლისური ენის და გამოთვლითი ტექნიკის შესწავლა.*

**მიღება წარმოებს:**

- პირველ საფეხურზე, პროგრამის ხანგრძლივობაა 30 კრედიტი (ერთი სემესტრი), სწავლის ღირებულებაა - 300 ლარი, პროგრამაზე მიღების წინაპირობაა მინიმუმ საბაზო განათლების ფლობა. პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა პირველი საფეხურის პროფესიული დიპლომი და საშუალება ეძლევა სწავლა გააგრძელოს შემდგომ მეორე საფეხურზე.
- მეორე საფეხურის ხანგრძლივობაა 30 კრედიტი (ერთი სემესტრი), სწავლის ღირებულებაა - 400 ლარი, პროგრამაზე მიღების წინაპირობაა პირველი საფეხურის დიპლომის ფლობა. პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა მეორე საფეხურის პროფესიული დიპლომი და საშუალება ეძლევა სწავლა გააგრძელოს შემდგომ მესამე საფეხურზე.
- მესამე საფეხურის ხანგრძლივობაა 30 კრედიტი (ერთი სემესტრი), სწავლის ღირებულებაა - 500 ლარი, პროგრამაზე მიღების წინაპირობაა მეორე საფეხურის დიპლომის ფლობა. პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა მესამე საფეხურის პროფესიული დიპლომი .
- მესამე საფეხურის სარკინიგზო გადაზიდვის სპეციალობაზე პროგრამის ხანგრძლივობაა 45 კრედიტი , სწავლის ღირებულებაა - 800 ლარი, პროგრამაზე მიღების წინაპირობაა მინიმუმ საბაზო განათლების ფლობა. სწავლის მსურველის ასაკი შეზღუდულია, ამ პროგრამაზე მიიღებიან 17 წლის ასაკის პირები. დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა მესამე საფეხურის პროფესიული დიპლომი .

*პროფესიული განათლების პროგრამებზე სწავლის მსურველთა მიღება იწარმოება საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის № 9/ნ ბრძანების საფუძველზე.*

*პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად საჭიროა წარმოდგენილი იქნას შემდეგი დოკუმენტების ნუსხა:*

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
2. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. ფოტოსურათი (3X4) - 4 ცალი;
4. დაბადების მოწმობის ასლი;
5. სამხედრო წვევამდელის მოწმობის ასლი.